N 100-09
08.02.2024

100-09-3-202402081438

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ტყის მართვის სამსახურის უფროსის
ავთანდილ მახარაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ჯუმბერ,

მოგახსენებთ, რომ ტყის მართვის სამსახურში განხილულია ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაცის 2024 წლის 07 თებერვლის №11/20 კორესპონდენცია, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლების მიერ 2023 წლის 10 თებერვლის აღმოჩენილ სექვესტირებულ კაკლის სახეობის 4 ცალ საშეშე მერქნულ რესურს, სულ მოცულობით 2,32 კბმ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოზე გადმოცემას.

აღნიშნული ხე-ტყე განთავსებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. წინსვლა **შპს „აისი-100“-ის** ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ და განიცდის გარემო პირობების ზემოქმედებას. ხე-ტყე საავტომობილო გზიდან დაშორებულია 5-10 მეტრი მანძილით.

გთხოვთ, ადმინისტრაციულმა სამსახურმა განიხილოს და კანონმდებლობით გათვალიწინებული მოთხოვნების სრული დაცვით უზრუნველყოს, ხე-ტყის განკარგვაზე სათანადო რეაგირება.

დანართი: ,,12'' ფურცელი და ფოტო მასალა.

პატივისცემით,

ავთანდილ მახარაძე

სამსახურის უფროსი
ტყის მართვის სამსახური